

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (დასკანერებული)	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება (დასკანერებული)	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (დასკანერებული)	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება(დასკანერებული)	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-19

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ერთეული ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	2,080,511	2,071,610	2,100,418
არამატერიალური აქტივები		3,177	-	-
გაცემული სესხები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,083,688	2,071,610	2,100,418
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4	-	10,060	21,079
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	5,634	11,169	45,566
სხვა მიმდინარე აქტივები	5	-	1,700	9,520
ფული და ფულის ექვივალენტები	1	47,526	159,266	277,306
სულ მიმდინარე აქტივები		53,160	182,195	353,471
სულ აქტივები		2,136,848	2,253,805	2,453,889
პატივმოყვანილობები				
კაპიტალი		958,928	1,088,152	1,555,152
გაუნაწილებელი მოგება		1,173,446	1,143,651	887,349
სულ კაპიტალი		2,132,374	2,231,803	2,442,501
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	4,474	22,002	11,388
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,474	22,002	11,388
სულ ვალდებულებები		4,474	22,002	11,388
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,136,848	2,253,805	2,453,889

ხელმოწერილი პირები:

გიორგი ოქრიაშვილი

სახელი გვარი - დირექტორი

ეკა ლაგურაშვილი

სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ერთეული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შემოსავალი სასტუმროს რეალიზაციიდან	8	69,544	665,351
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		27,041	59,699
საერთო მოგება/(ზარალი)		96,585	725,050
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(37,670)	(231,250)
შრომის ანაზღაურების ხარჯი		(40,094)	(117,134)
ცვეთა და ამორტიზაცია		(118,250)	(120,364)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(99,429)	256,302
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი			
ზარალი საკუროს სხვაობიდან			
არასაოპერაციო ხარჯები			
არასაოპერაციო შემოსავლები			
მოგება დაბეგვრამდე			256,302
	(99,429)		
მოგების გადასახადი			
წლის წმინდა მოგება	(99,429)		256,302

ხელმოწერი პირები:

გიორგი ოქრიაშვილი

სახელი გვარი - დირექტორი

ეკა ლაგურაშვილი

სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	1,555,152	887,349	2,442,501
მოგება წლის განმავლობაში		256,302	256,302
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი საწესდებო კაპიტალის ცვლილება		(467,000) (467,000)	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	1,088,152	1,143,651	2,231,803
მოგება წლის განმავლობაში		(99,429)	
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი			
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	958,928	1,173,446	2,136,848

ხელმოწერილი პირები:


გიორგი ოქრიაშვილი



სახელი გვარი - დირექტორი



ეკა ლაგურაშვილი



სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ დაფუძნებულია 2014 წლის 30 მაისს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 405045696. კომპანიის 100 % მესაკუთრეა ფიზიკური პირი თემურ ოქრიაშვილი (ს/კ 01101124026).

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“-ს იურიდიული მისამართია : საქართველო, ქ.თბილისი, ისნის რაიონი, მეტეხის აღმართი 3. კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ძირითადი საქმიანობაა სასტუმროს მომსახურება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი გიორგი ოქრიაშვილი (ს/კ 01511097883).

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოადგენს ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებასა და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

3. წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი . ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწვევისას პერიოდის ხარჯად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის დეკემბერი

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	20
მანქანა დანადგარები	5
კომპიუტერული ტექნიკა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა ძირითადი საშუალებები	4

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდისმოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია. კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება წელიწადში ორჯერ.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მოგების გადასახადი

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981 მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საზოგადოება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად. მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. კომპანიაში მარაგების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა. კომპანია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მარაგებს იძენდა სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის. ამ ტიპის მარაგების გახარჯვა საბოლოოდ აისახებოდა აშენებული ფართების თვითღირებულებაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს სასტუმროს მინი ბარისათვის საჭირო პროდუქტები და სასმელები. ამ ტიპის მასალები ჩამოიწერება რეალიზაციის დროს და თვითღირებულების

ნაწილს შეადგენს.

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შემოსავლები და ხარჯების აღრიცხვის პრონციპები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით;

ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს სასტუმროს მომსახურებაზე გახარჯულ, პირდაპირ მიკუთვნებული მასალების და ნედლეულის ხარჯებს, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და სხვა ტიპის ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული სასტუმროს მომსახურების განხორციელებასთან. მასალები და ნედლეული თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან დივიდენდის გატანაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლედ აგრძელებადიან აქტივებად.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც: ► მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა; ► მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან ► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც: ► მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა; ► დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენი ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2020 წლის დეკემბერი

5 .ახსნა განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-20	31-დეკ-19	31-დეკ-18
თანხა ბანკში	45,947	158,315	267 482
თანხა სალაროში	1,579	951	9823
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	47,526	159,266	277,305

კომპანიას საბანკო ანგარიშები (მიმდინარე ლარში და სავალუტო) გახსნილი აქვს სს. ლიბერთი ბანკში და სს საქართველოს ბანკში, აღნიშნული ანგარიშებით ახორციელებს საბანკო ოპერაციებს.

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო მოთხოვნები	5,634	11,169	45,566
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,634	11,169	45,566

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი

შენიშვნა 4

სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-20	31-დეკ-19	31-დეკ-18
საქონელი	-	10,060	21,079

სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი

მარაგებში კომპანია აღრიცხავს ნედლეულსა და მარაგების ნაშთებს რომელიც განკუთვნილია სასტუმროში დილის საუზმისთვის.

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2020 წლის დეკემბერი

შენიშვნა 5

სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები	31-დეკ-20	31-დეკ-19	31-დეკ-18
	-	1,700	9,520

კომპანიას საგადასახადო ბარათზე ერიცხება ზედმეტობა.

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

კომპანიას ბალანსზე აქვს ძირითადი საშუალებები, კერძოდ სასტუმროს შენობა ნაგებობა და ავეჯი და სხვა ინვენტარი.

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-20	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო ვალდებულებები	4,474	22,002	11,388
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	-	-	-
სახელფასო ვალდებულებები	-	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	4,474	22,002	11,388

კომპანიას ძირითადად უფიქსირდება სავაჭრო ვალდებულებები სასტუმროსთან დაკავშირებულ მომსახურებებზე.

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2020 წლის დეკემბერი

შენიშვნა 8

შემოსავალი

შემოსავალი	31-დეკ-20	31-დეკ-19
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	69,544	665,351
შემოსავალი მომსახურებიდან	27,041	59,699
სხვა შემოსავალი	-	-

კომპანიას ძირითადი შემოსავალი უფიქსირდება სასტუმროს ნომრების რეალიზაციიდან, ასევე აქვს გაქირავებული ფართიდან იჯარის შემოსავალი.

შენიშვნა 9

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31-დეკ-20
ბუქინგ კომის ხარჯი	5,754
დაცვის მომსახურების ხარჯი	170
სამრეცხაოს ხარჯი	1,024
იურიდიული მომსახურება	1,750
შვედურის ხარჯი	6,170
ქიმიური საშუალებების ხარჯი	687
სამეურნეო ხარჯი	984
მინი ბარის ხარჯი	499
კომუნალური ხარჯი	11,719
კომუნიკაციის ხარჯი	2,851
ბანკის საკომისიო ხარჯი	1,640
დაზღვევის ხარჯი	1,808
საავტორო ჰონორარი	201
სხვა	2,413

სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

6. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლები შედგება სტუმრების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისაგან. მათ შორის მოიცავს ბარიდან მიღებულ შემოსავლებს.

წარმოშობილი ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება მომსახურების მიღების დასრულებისთანავე ან მოკლევადიან პერიოდში.

7. ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურების ხარჯებს, , საკანცელარიო ხარჯებს, ცვეთის ხარჯს, საბანკო ხარჯებს და ა.შ.

8. პირობითი ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ჰქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია, რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორსაც წარსულში არ ჰქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ (ს/კ 405045696)
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არსებობა არ დაფიქსირებულა.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

ხელმოწერი პირები:
გიორგი ოქრიაშვილი

სახელი გვარი - დირექტორი



ეკა ლაგურაშვილი

სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

